„თვითშემეცნებითია ულოგო ნაბიჯია სადმის ყოველდღიურის საქმიანობისა. საცა უნდა დაბრუნათ, იგი ყველგან ხელობს... ყოველი სახელმწიფო, რომელსაც ბრწყინვა ცოდნათ თუ ზეგრად დაძველებული, ნაწილი-ნაწილად ანის დაკოდილია, რომ ეროვნა და აღმოჩენილობა აღმოჩენილი იყოს.“

ხობის მოამბე

№6 (7109) 20 ივნისი,
ხუთშაბათი, 2019 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

შეხვედრა იაპონიის საელჩოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებით

იაპონიის საელჩოს მიერ მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობები, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებს და რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებს, საელჩოს წარმომადგენლებმა გამართულ შეხვედრაზე გააცნეს.

საგრანტო პროექტები უნდა ემსახურებოდეს მწვავე საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებას, პროექტი უნდა იყოს მდგრადი და ფუნქციონირებდეს მინიმუმ 10 წელი დასრულებიდან. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება ან მძიმე ტექნიკის შეძენა. თითო გრანტის მაქსიმალური ოდენობა 70 000 აშშ დოლარს შეადგენს.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 12 აგვისტო.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი, მერების მოადგილეები და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები.

გიორგი კეკელიძეს ახალგაზრდებთან ლიტერატურაზე ისაუბრა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი და მწერალი, გიორგი კეკელიძე თორსა-დღვაბას სტუმრობდა. მწერალმა ახალგაზრდებთან შეხვედრაზე ლიტერატურის როლზე, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, განათლების და წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

გიორგი კეკელიძემ თორსა-დღვაბის ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები გადასცა.

შეხვედრას საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია და მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია ესწრებოდნენ.

ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლდა

თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლდა. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივმა ცენტრმა“ 1000 ლარის ღირებულების 86 ერთეული წიგნი შეიძინა.

წიგნადი ფონდის განახლება ეტაპობრივად ხორციელდება და ქალაქ ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული მრავალფეროვანი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით.

2019 წელს, ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკის ფონდს 2000 ლარის ღირებულების 153 ერთეული წიგნი შეემატა.

სპექტაკლის პრემიერა

ორი დღე სიყვარულისა და სილამაზის გარემოში

ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში 12–13 ივნისს შედგა ძმები გრიმების ზღაპრის „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა (დამდგმელი რეჟისორი მარინა ჯღარკავა, მხატვარი ემილ გეგენავა, ტექნიკური რეჟისორი ანჟელა ქანთარია), რომელიც მაყურებლს, ალბათ, მთელი ცხოვრება სასიამოვნო მოგონებად დარჩება. ვინც მარინა ჯღარკავას თეატრალურ შემოქმედებას ადევნებს თვალს, ნამდვილად არ გაუკვირდებოდა მის მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებული ხსენებული სპექტაკლის წარმოდგენა.

ძმები გრიმები მთელ მსოფლიოში აღიარებული მწერლები არიან. მათი ხსენება ნებისმიერ მკითხველს ბავშვობის ჯადოსნიურ სამყაროში აბრუნებს. მათი ზღაპრები „კონკია“, „მძინარე მზეთუნახავი“, „წითელქუდა“ და ბევრი სხვა, დღესაც ბავშვების საყვარელ ზღაპრებად რჩებიან.

მსოფლიოში ცნობილი მეზღაპრეები ძმები იაკობ (1785-1863) და ვილჰელმი (1786-1859) გრიმები ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ენათმეცნიერებაში, ფილოსოფიაში, ფოლკლორისტიკაში, ლექსიკოგრაფიაში. ასეთი აღიარებული მწერლების ნაწარმოებს რომ შეეხო და სცენაზე მისი გაცოცხლება გაბედო, დიდი გამბედაობა და რისკი უნდა გქონდეს. ქალბატონმა მარინა ჯღარკავამ გაბედა, გარისკა და კარგადაც გამოუვიდა...

შეიძლება მავანმა და მავანმა ეს ყველაფერი არ დაიჯეროს. ამიტომ ვურჩევ ნახოს სპექტაკლი და დარწმუნდეს თუ რა ძალა აქვს ნიჭიერებას, პროფესიონალიზმს და საქმის ერთგულებას.

ისეთი მარადიული თემები, როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, კეთილშობილება ადამიანების ცხოვრების თანმდევი უნდა იყოს. ბოროტებაზე ყოველთვის იმარჯვებს სიკეთე და სიყვარული, სწორედ ეს არის სპექტაკლის იდეა და არსი. ალბათ, ამიტომაც შეეჭიდა რეჟისორი მარადიულ ღირებულებებს... რათა მომავალ თაობებს ვასწავლოთ რა შეუძლია ამაღლებულ გრძნობას.

მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრთან არსებულ ბავშვთა თეატრალურ დასს, რომელსაც წლებია ხელმძღვანელობს ქალბატონი მარინა და სპექტაკლის თითოეულ მონაწილეს (ანა გოგუა, მაგდა ქარდავა, დავით კორტავა, შალვა გოგია, ირაკლი ჯობავა, კოკა თუთბერიძე, ნუკრი ჭითაშვილი, მათე შუალაია, დავით გელაშვილი, გიორგი ნადარაია, დემეტრე ჩუხუა) წარმტებებს ვუსურვებთ, ხოლო მის რეჟისორს ახალი სულისმარგებელი სპექტაკლებით გაემდიდრებინოს ბავშვთა თეატრალური დასის რეპერტუარი.



ბეჭან ნადარაია.

ისტორიის ფურცლებიდან

„დამოუკიდებელი საქართველო აღდგა, გაუმარჯოს საქართველოს!“

1918 წლის 26 მაისის გაზეთ „საქართველოს“ მოწინავე გვერდზე დიდი ასოებით წერია: „საქართველოს დამოუკიდებლობა გადაწყდა!“

1918 წლის გაზეთ „საქართველო“ №(102) პირველ გვერდზე აქვეყნებს მასალებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის ისტორიული სხდომის მსვლელობას.

„...პრეზიდიუმის მაგიდასთან წარმომდგარ ნოე ჟორდანიას ფეხზე ამდგარი ხალხი მქუხარე ტაშით ეგებება“. ნოე ჟორდანია ესალმება ეროვნული საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს. აქტი საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

გამოცხადდა დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ნოე რამიშვილი.

სხდომას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს პოლონეთის, გერმანიის, ოსების, საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა წარმომადგენლებმა.

ქართველ მუსულმანთა სახელით სხდომას მიმართა ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ: „ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას, გილოცავთ მრავალტანჯულ საქართველოს დამოუკიდებლობას!“

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ცნობილი საზოგადო მოღვაწის რაფიელ ინგილოს წერილი, ის წერს: „ქართველ ერს ხანგრძლივ ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში წილად ჰხდომია განსაცდელში ჩავარდნა და ეროვნულ ღირსებისა და თავმოყვარეობის დაკნინებაში ყოფნა, მაგრამ სული ერისა არასოდეს დაცემულა და არ მისცემია სასოწარკვეთილებას. ურიცხვი მტრების წინაშე ლაჩრულად ქედი არ მოუხრია ქართველობას და არც ჩვევია გამარჯვებულისაგან მოწყალების მიღება!

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება ავალებდა მამაც ხალხს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვა სამშობლოს მიწა-წყალი, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაეხია და ეგრძნობინა კალიასებრ მოზღვავებულ მტრისთვის, რომ საქართველოში შემოხიზნან ის შეძლებს ქართველ მოლაშქრეთა გვამების გადალახვით!“

იგივე პათოსით არის გაჟღენთილი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის მცხოვრებლების წერილი გამოქვეყნებული 1919 წლის 1 ივნისის გაზეთ „ერთობაში“:

„ნოჯიხევის“ მრავალრიცხოვანი კრება 26 მაისის დღესასწაულის გამო სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას, ჯარს, გვარდიას და აღუთქვამს თავდადებულ ბრძოლას დამოუკიდებლობის დასაცავად“.

101 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ენახეთ-ცუდიც და კარგიც. დღეს საქართველო სუვერენული სახელმწიფოა. მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს თავისი არსებობის ასწლეულების განმავლობაში არასოდეს არ შეუცვლია სტრატეგიული მიზანი. მას მრავალი ბრძოლის გადატანა მოუხდა. საქართველო არასდროს შეგუებია აღმოსავლური ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელ დესპოტურ მიდრეკილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ ხალხთაგან ბევრმა დიდი უბედურება მოუტანა საქართველოს, ქართველი ხალხი არასდროს არ გაბოროტებულა, ის ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით.

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი საქართველოს შესახებ წერდა: „აქ უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოვიტებსა და ებრაელებს“. 1856-1857 წლებში, რუსული მმართველობის დროს აჯანყებულთა მეთაურს უტუ მიქავას, რომელიც პროფესიით მჭედელი იყო და ორატორული ნიჭის გამო ქართველი „დანტონი“ უწოდეს, ეკუთვნის ფრაზა: „კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს“, ანუ ყველა კაცი თანასწორიაო.

დამოუკიდებელი საქართველო აღდგა, გაუმარჯოს საქართველოს!

დ ღეიდან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღდგენილია.

გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს!

საქართველოს ყოველი ნაწილი, ქართველი ერის ყოველი საზოგადოებრივი წრე, ჯგუფი ქედს მოიხრის საქართველოს აღდგენილ თავისუფლების წინაშე.

ქართველი ხალხი—სოფლის მეურნე, ქალაქის მუშა, ხელოსანი, თუ ვაჭარ-მრეწველნი ერთსულოვნად უნდა შემოკრბენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების [illegible]ლმშენებლობისათვის. ყოველი კლასის, ყოველი ჯგუ-[illegible]ლის ფარგლებიდან დღეს გამოდის საქართველო.

ქართველ ერს სურს მშვიდობიანს და მეგობრულს განწყობილებაში იყოს ოსმალეთთან. ოსმალეთის აზრიც მრავალჯერ [illegible] ქართველ ხალხს, რომ მას არ სურს ომი საქართველოსთან, რომ ოტტომანთა მთავრობას საქართველოსთან შეთანხმება და მეგობრული განწყობილების დამყარება აქვს მიზნად. საუკუნეთა მაგალითები გვარწმუნებს, რომ ასეთი გზა ორივე ქვეყნისათვის არის საიმედო და სასარგებლო.

ოსმალეთთან მორიგებით, მასთან და მის მოკავშირეებთან შეთანხმებით საქართველო [illegible]

მართალია ქართველები უნაკლონი არ ვყოფილვართ, მაგრამ ადრეც და ახლაც ჩვენთვის მთავარი ღირებულებებია სამშობლო, ხალხი, თავისუფლება, ადამიანი და მისი უფლებები. აქა-იქ გაიგონებ ფრაზას: „რა გვეშველება?“. ვფიქრობთ, სასოწარკვეთილების არანაირი საფუძველი არ არსებობს, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უსაშველო არაფერი სჭირს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სრულყოფილებისკენ სვლა იოლი არ არის, ჩვენ ჩვენი ჯვარი უნდა ვზიდოთ, მითუმეტეს, რომ ჩვენ ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ისტორიულ დღესასწაულს–26 მაისს!

გოგიტა ჩიტაია.

რა მოხდა ხობელი თათარიშვილების ოჯახში, როცა ნოე ჟორდანიას გემმა საქართველო დატოვა

(ადა თათარიშვილის ნაამბობიდან)

69 წლის ადა თათარიშვილი საოჯახო ალბომიდან საგულდაგულოდ შენახულ სამ ფოტოს გვიჩვენებს.

„ეს ბებიაა, მარიამ ჭოჭუა. ულამაზესი ქალი იყო. გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ეს კი ბაბუა, ვლადიმერ თათარიშვილი. მისი მხოლოდ ორი ფოტოა შემორჩენილი. სულ რაღაც 34 წლის იყო, როცა საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა. მოკლეს“

ლადის, როგორც მას შვილიშვილი მოიხსენიებს, საბჭოთა რეჟიმმა ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას თანამოაზრეობა არ აპატია.

„ბაბუა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, ფიცხი ხასიათის ყოფილა ძალიან. არ ეგუებოდა იმას, რასაც ხედავდა და წინაალმდეგობდა... თურმე ძალიან ახლო ურთიერთობაში იყო ნოე ჟორდანიასთან. ეს ვიცი, ისევ და ისევ ბებიის ნათქვამი. თურმე ბებიას ძმებს გაუგიათ, რომ ბაბუა ნოე ჟორდანიას უნდა გაჰყოლოდა საზღვარგარეთ.

მაშინ, ორსართულიანი სახლი გვქონდა და დაბლა ჰქონდა პატარა ოთახი. ბაბუა სიცილ-ხარხარით ჩაიყვანეს თურმე მოტყუებით ცოლის ძმებმა და ჩაკეტეს ოთახში, რომ არ გაყოლოდა ნოე ჟორდანიას. გაგიჟდა თურმე ბაბუა, რას მიკეთებთ თქვენო. არა, შენ არ დატოვებ ოჯახს, შენ აქ უნდა იყოო. შენ გაარკვევ შენს მდგომარეობას და საქართველო არ უნდა დატოვოო. როცა გემი უკვე მოცილდა შავი ზღვის ნაპირებს და საქართველოს, აი მაშინ გამოუშვეს ბაბუა. ამას სულ აყვედრიდა თურმე, ეს რა გამიკეთეთო“.

მარიამ ჭოჭუა

ვლადიმერ თათარიშვილი

ადა თათარიშვილი გვეუბნება, რომ ცეცხლს გადარჩენილი გერმანულენოვანი ორი წიგნი, ლაიფციგში და დრეზდენში იყო გამოცემული. ისინი დღეს ვლადიმერ თათარიშვილის ქალიშვილის სახლში, ფოთში ინახება.

საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ვლადიმერ თათარიშვილი ბრძოლას ოჩამჩირეშიც განაგრძობს. ნოე ჟორდანიას თანამოაზრეს და „სახელმწიფოს მტერს“ დაქირავებული თანამოქალაქე, ვინმე მარღანია დუქანში კლავს...

„თურმე დუქანში მომუშავე პატარა ბიჭმა ბაბუას უთხრა, ლადი, მოკითხვა შემოგითვალესო... გამოვიდა თურმე დუქნიდან გახარებული და თქვა ხობელებიდანო? ჩემი ოჯახიდანო?–იმ კაცმა უთხრა, აი საჩუქარიო, დაუმიზნა პირდაპირ ნაგანი და ადგილზე მოკლა. 33 წლის ასაკში დაქვრივდა ბებია. დარჩა 4 შვილი: უფროსი ბიძა–9 წლის, მამაჩემი–7 წლის, მამიდა –5 წლის და უმცროსი ბიძა 3 წლის“.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის

№44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 14767,9 ათასი ლარით.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“.

საკრებულოში წარმოდგენილიქნა სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია პედაგოგიური კოლექტივისა და მშობელთა კომიტეტის ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს ოქმი და საკრებულოს განკარგულება სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, განკარგულების პროექტით „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის პირველი მაისის ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ“. პირველი მაისის ბიბლიოთეკას მიენიჭა მწერლის, პოეტის, ჟურნალისტისა და დამსახურებული მასწავლებლის ნოე კობახიძის (დაფნარელის) სახელი.

სხდომაზე ასევე განიხილეს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება–ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუბში არსებული წყალსადენი სისტემა, რომლის ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 19628 ლარს, თხოვების ფორმით გადაეცა შპს „ხობის წყალმომარაგებას“.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 აპრილის 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტით დასაფინანსებელ პროექტებს დაემატა ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საქირიოში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №15

2019 წლის 30 მაისი ქ. ხობი

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის პირველი მაისის ბიბლიოთეკისთვის ნოე დაფნარელის სახელის მინიჭების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად:

1. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის პირველი მაისის ბიბლიოთეკას მიენიჭოს „ნოე დაფნარელის“ სახელი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ.№3).

ედიშერი ჯობავა,
საკრებულოს თავმჯდომარე.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №16

2019 წლის 30 მაისი ქ. ხობი

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის 194 ბრძანების 41 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად:

1. გაიცეს თანხმობა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ.№3).

ედიშერი ჯობავა,
საკრებულოს თავმჯდომარე.

ქალაქში საინიაღვრე არხების მოწყობა მიმდინარეობს

ქალაქ ხობში რუსთაველის, აღმაშენებლის, კოსტავასა და სამეგრელოს ქუჩებზე მიმდინარეობს საინიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 322,145 ლარია და მას შპს „შარა-გზამშენი პირველი“ ახორციელებს.

სანიაღვრე არხები ეწყობა ასევე ვეკუას, გოგებაშვილისა და ც. დადიანის ქუჩებზეც, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 71.000 ლარია და მას შპს „აფო“ ახორციელებს, პროექტის შესაბამისად, აღნიშნულ ქუჩებზე ეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრიამ, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარიამ და მერის წარმომადგენელმა ქალაქ ხობში კობა თუთბერიძემ დაათვალიერეს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ტრენინგი თვითმართველობის წარმომადგენლებისთვის

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „tnojhrbyu ajh Eaabwbyw“ ანდ დეველოპმენტ (N4ED)- „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების მიდგომების დანერგვა მუნიციპალიტეტებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტში მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებისთვის ასევე თემის ლიდერებისთვის, სამოქალაქო სექტორისა და მერის წარმომადგენლებისთვის.

31 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით, ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც სანდრო სორდია უძღვებოდა.

ტრენინგზე განხილულიქნა შემდეგი საკითხები: ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია და საკონსტიტუციო გარანტიები, თვითმმართველობის უფლებამოსილებანი, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები, სამოქალაქო ბიუჯეტირების სამართლებრივი საფუძვლები.

აღნიშნულ თემებზე გაიმართა ღია დისკუსია.

ტრენინგს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა ესწრებოდნენ.

ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტში

დასავლეთ საქართველოში, აზიურ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

* თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდა, ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის, შავღელეს, ხამისკურის და ხეთის ადმინისტრაციული ერთეულები.

* სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, წამლობით ღონისძიებებს მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად ქალაქ ხობში გაეცნენ.

* უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობა, ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრმა, თერმული ნისლით წამლობის შესახებ, სატელეფონო გზავნილის მეშვეობით 24 საათით ადრე გაფრთხილა.

* თერმული ნისლის ტექნოლოგიით წამლობების პროცესში ჩართულნი არიან მეფუტკრე ფერმერები და ღონისძიებები მათთან კოორდინირებული თანამშრომლობით იგეგმება, რათა ფუტკარი მაქსიმალურად იყოს დაცული.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ SMS რეგისტრაცია და გზავნილების მეშვეობით მიიღონ დეტალური ინფორმაცია ღონისძიებების დაწყების და განხორციელების ვადებზე, საკოორდინაციო მართვის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.parosana.ge

18 ოჯახს სახურავის შესაკეთებელი მასალა გადაეცემა

ხობის მუნიციპალიტეტის მერია 18 ოჯახს სახურავის შესაკეთებელი სამშენებლო მასალებით დაეხმარება. სამშენებლო მასალების შეძენის მიზნით გამოცხადებული ტენდერი დასრულდა, ხელშეკრულება გაფორმდა და მეწარმე ბენეფიციარებს 31 აგვისტომდე მიაწვდის მასალას.

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სახლები საჭიროებს გადახურვას ან სახურავის შეკეთებას, მერია სამშენებლო მასალებით ეხმარება.

შეხვედრა შავღელეს მოსახლეობასთან

ხობის მუნიციპალიტეტის შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა.

ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარმა წევრმა დაჩი ბერაიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ და საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარიამ დაათვალიერეს.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 2 მილიონ 504 ათას ლარს შეადგენს. პროექტის მიხედვით: 7-კილომეტრზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა ეზოებში შესასვლელები, საგზაო ნიშნები, სანიაღვრე არხები, მოსაცდელები.

მაჟორიტარი და ადგილობრივი ხელისუფლების წამომადგენლები შავღელეს მოსახლეობასაც შეხვდნენ, მათ ადგილობრივებისგან მოისმინეს სოფელში არსებული პრობლემური საკითხები და იმსჯელეს მათი მოგვარების მექანიზმებზე.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული

ხობის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული დასრულდა, 1 ივნისი ხობში კულტურულ-გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებებით აღინიშნა. №1 საჯარო სკოლის სპორტდარბაზში საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისთვის „მხიარული სტარტები“ ჩატარდა, კულტურის სახლის ფოიეში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ბავშვთა ნახატების გამოფენა მოეწყო. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრის სამუსიკო სკოლაში „მუსიკალური კვირეული“ გაიმართა. კულტურის სახლის დიდ დარბაზში ბავშვების სადღესასწაულო განწყობაზე ქუთაისის „ერთი მსახიობის თეატრის“ მსახიობებმა იზრუნეს, რომლებმაც ხობელი მაყურებლის წინაშე სპექტაკლი „ფისუნია“ წარადგინეს.

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია და „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი ეკა ხასია ესწრებოდნენ.

საჯიჯაოში საანგარიშო კონცერტი გაიმართა

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლში, წლის საანგარიშო კონცერტი გაიმართა. კონცერტზე, სოლო შემსრულებლები და ქორეოგრაფიული ანსამბლები დამსწრე საზოგადოების წინაშე, ქართული ხალხური ცეკვებით და სიმღერებით წარსდგნენ.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია ესწრებოდნენ.

დასასრულს საჯიჯაოს კულტურის სახლის ხელმძღვანელმა ქეთინო კაკაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ქორეოგრაფებს მადლობა გადაუხადა ხელოვნების განვითარებისთვის გამოჩენილი ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის.

თაობა

ნიჭიერება ფრთებს შლის...

ფრთებგაშლილი ნიჭიერება–ასე დავარქმევდი 30 წლის ირაკლი გოგუას ცხოვრებისეულ მომენტებს... ის აფხაზეთიდან დევნილია, ნონა და ჯამბული გოგუების შვილი, ხობელებს შესისხლხორცებლი მეგობრობით, სიყვარულით, თანადგომით...

წარჩინებით დაამთავრა ხობის №1 საჯარო სკოლა. მისი პედაგოგები დღესაც სიყვარულით, უფრო სწორად, სიამაყით იხსენებენ და-ძმის სოფიო და ირაკლის მოსწავლეობის პერიოდს.

ხობს არასოდეს აკლდა ნიჭიერი ახალგაზრდები, ხშირად ვეხმიანებით მათ და მკითხველს ვუყვებით მათი საქმიანობის შესახებ.

ვიდრე ირაკლის საქმიანობაზე მოვუყვებით მკითხველს, გვინდა უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ მერიის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და ვებგვერდის ადმინისტრირების საკითხებში უფროსი სპეციალისტის ბატონ ირაკლი შონიას მისამართით, რომელმაც თავისი სეხნიის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა იმის დასტურად, რომ გამოხატოს სურვილი უფრო მრავალფეროვანი და წაკითხვადი იყოს ჩვენი გაზეთი.

სწორედ ბატონი ირაკლის მეშვეობით დაგვიკავშირდა ირაკლი გოგუა და მის მიერ გავლილ სასახელო ცხოვრებაზე მოგვიყვა.

–2007 წელს წარჩინებით დავამთავრე ქ.ხობის №1 საჯარო სკოლა, ქ. თბილისში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატი, მაგისტრატურა–კრაკოვის ეკონომიკურ უნივერსიტეტში, დოქტურანტურა–ვარშავის ეკონომიურ უნივერსიტეტში.

პოლონეთში პირველად 2012 წელს ჩამოვედი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 1 წლიანი პროგრამით. შემდეგ, გადავწყვიტე მაგისტრატურის პროგრამებზე მეცადა ბედი, რამოდენიმე რთული ეტაპის შემდგომ ჩავირიცხე ქალაქ კრაკოვის ეკონომიკურ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე, მოვიპოვე პოლონეთის მთავრობის სწავლის სრული დაფინანსება, ყოველთვიური სტიპენდიით.

უნივერსიტეტი ერთ-ერთი ძლიერი ალმა მატერია თავისი სამეცნიერო კვლევებით, საერთაშორისო აღიარებით და გაცვლითი პროგრამებით. ეს იყო ჩემთვის უნიკალური შესაძლებლობა გავცნობოდი ევროპულ განათლებას და მიმეღო შესაბამისი უნარები, გამოცდილება სწავლის ფარგლებში. ასევე, ერასმუსის სტიპენდია მოვიპოვე, რომელმაც მომცა შესაძლებლობა მესწავლა საფრანგეთის ერთ-ერთ საუკეთესო ბიზნეს სკოლაში, სტრასბურგის უნივერსიტეტში, რომლის ფარგლებში, სტაჟირება გავიარე ევროპულ პარლამენტში.

მქონდა, შესაძლებლობა მიმეღო მონაწილეობა რამოდენიმე საერთაშორისო კონფერენციაში. ვიყავი როგორც მომხსენებელი, ასევე ორგანიზატორიც. განსაკუთრებით, გამოვარჩევდი პოლონურ-ქართული კონფერენციის ორგანიზატორობას, რომლის შემდგომ მოხდა ბილატერიული შეთანხმების მიღწევა, რომელიც ითვალისწინებს ქართველი სტუდენტების პოლონეთში სამეცნიერო-საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

შემიძლია ვთქვა, რომ ქართული დიასპორის წევრი ვარ პოლონეთში და აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ქართული კულტურის პოპულარიზაციაში.

მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების შემდეგ, გადავწყვიტე, დოქტორანტურაზე შემეტანა საბუთები. საბედნიეროდ, აქაც, მოვიპოვე პოლონეთის მთავრობის სწავლის სრული დაფინანსება ყოველთვიური სტიპენდიით პოლონეთის საუკეთესო ეკონომიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის ბაზაზე სამეცნიერო კვლევებზე მუშაობის უნიკალური შესაძლებლობა მაქვს. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო ნაშრომი (Opportunities and risks of globalization: The of globalization on international business). .

ამჟამად ვმუშაობ რა თქმა უნდა, სადოქტორო თემაზე. დოქტორანტურის პარალელურად, ვმუშაობ საერთაშორისო ამერიკულ საინვესტიციო ბანკში მთავარ ანალიტიკოსად. რადგან პრაქტიკული უნარების განვითარება უმნიშვნელოვანესია გლობალური კონკურენტუნარიანობისთვის“.

• • •

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ მას, რადგან როგორც ჩანს, მისი ნიჭიერება ყოველდღიურად ფრთებს შლის და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში მის წარმატებებზე უფრო ვრცლად მოვუყვებით მკითხველებს.

მერი ლაგვილავა

წიგნი ცხოვრების თანაზიარი

2019 წლის საბიბლიოთეკო კვირეული მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა. არც ხობის მუნიციპალიტეტის თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკა და სათემო ბიბლიოთეკები ყოფილა გამონაკლისი. საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ცენტრალურმა ქსელის (მენეჯერი ლუიზა ცანავა) ბიბლიოთეკამ განახორციელა არაერთი პროექტი „წიგნი ცხოვრების თანაზიარი“, რომლის მიზანი იყო წიგნის პოპულარიზაცია, მკითხველზე ორიენტირებული მიდგომები, მოსწავლეებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება, ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველებად ჩამოყალიბება, ინტეგრირება სკოლასა და ბიბლიოთეკას შორის.

პროექტის ფარგლებში გასვლითი ღონისძიებები დაიგეგმა ხობის მუნიციპალიტეტის №2, პირველი მაისის №2 საჯარო სკოლებსა და სკოლა „არეას“ I-VI კლასებში შემეცნებითი ხასიათის გასართობი ვიქტორინით, ხოლო თორსის, ძველი ხიბულის, ჭალადიდის, საჯიჯაოს, ახალი ხიბულის, პირველი მაისის, ხამისქურის, შუა ხორგის, ქვემო ქვალონის სათემო ბიბლიოთეკებში ლიტერატურული საღამოებით და წიგნის პრეზენტაციებით კვირეული დასრულდა.

„ჩვენ წიგნს ვკითხულობთ იმისთვის, რომ ავმაღლდეთ საკუთარ ცხოვრებაზე და სხვების ცხოვრებას ჩავწვდეთ. ეს მოარული აზრია და ვეთანხმები მას, რადგან თუ მართლა შეყვარებული ხარ წიგნზე, დასკვნა ერთნაირი ხდება. ამავე დროს ვცდებოდით, წარმოვიდგინოთ თავი იმ ადამიანების ადგილას, ვისაც ლიტერატურა გაგიყებით უყვარს და ერთი დღე წიგნის გარეშე არ შეუძლია.

წიგნი ხელოვნებაა ამბობს ესქილე „მიჯაჭვულ პრომეთეში“ ხოლო გულიანი მწერალი ოტია იოსელიანი გვმოძღვრავს: „ლიტერატურა ხელოვნების საფუძველია“...

* * *

2008 წელს კარგად მახსოვს როგორი აუწერელი ენთუზიაზმით დაიწყო სკოლების, ბიბლიოთეკების გაუქმება. მათ შორის აღმოჩნდა პირველი ხორგის უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც ორმოციან წლებში გაიხსნა და პირველი ბიბლიოთეკარი (დედაჩემი) ვარდო კორტავა-ბერაია გახლდათ. ცხონებულს მიწაში ჩაყვა ჯავრად, რადგან კარგად იცოდა წიგნის ფასი.

მაგრამ იმედი მრჩება, მოვა დრო ყველაფერს თავისი სახელი დაუბრუნდება. წიგნის მყუდრო საუფლოში კი ახალ-ახალი თაობები მიუჯდებიან მაგიდას, გადაარჩევენ კატალოგებს, წაიღებენ ახალ ეგზემპლარებს და გამოცემულ სასურველ ლიტერატურას სტუდენტები, მოსწავლეები, მკითხველები და მადლობით აღივსებიან იმ ადამიანების მიმართ, ვინც დაუბრუნებს სოფელს ამ საგანძურს.

მუსიკალური კვირეული

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სამუსიკო სკოლაში 27-31 მაისის ჩათვლით ჩატარდა „მუსიკალური კვირეული“, სადაც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის ყველა მოსწავლემ.

მუსიკალური კვირეულის იდეის ავტორი ნაზი ბერაია აღნიშნავს, რომ ყველამ ერთდროულად მიიღო მისი შემოთავაზება კვირეულთან დაკავშირებით და ერთობლივად შეიმუშავეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკალური სკოლის მენეჯერის თამარ ხუნწარიას ღვაწლი ამ კვირეულთან დაკავშირებით.

ნამდვილი დღესასწაული აჩუქეს დამსწრე საზოგადოებას ეს იყო ნორჩი პიანისტების საშემსურებლო შესაძლებობების სრული თანხვედრა დიდებული და ჰარმონიული სრულყოფილი ჟღერადობა კლასიკური მუსიკისა, მაღლი აკადემიური დონის, რომელიც წარმატებით დასრულდა.

წარსდგე მაყურებლის წინაშე ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, ამიტომ ყველა მოსწავლეს ვაძლევთ შესაძლებლობას ეზიარონ კულტურულ ცხოვრებას და მიიღონ გამოცდილება სცენაზე შესრულებით და ასევე აუდუტორიას, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა მოსმენა კონკურსზე.

ქ. სენაკში ყოველწლიურად ჩვენი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ კონკურსში, რომლის ორგანიზატორი გახავთ მუსიკოსი-პიანისტი ბატონი ვალერიან შიუკაშვილი.

მონაწილე მოსწავლეები არიან: ნინო ხარამიშვილი V კლასი (პედაგოგი თამარი ხუნწარია), მარიამ ჯანჯღავა IV კლასი (პედაგოგი ხათუნა ჯობავა), ანასტასია ძაგანია V კლასი (პედაგოგი ხათუნა სალია), ლიზი ქარცხია V კლასი (პედაგოგი ვალენტინა ალანია), ლიზი ცანავა VI კლასი (ვოკალის პედაგოგი ინგა სანაია).

აღნიშნული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით და სიგელებით

ნაირა ბერაია

წიგნის პრეზენტაცია

„ლამაზად სიკვდილის თვითმასწავლებელი“

ხელოვნების სახლში „მუზა“ მეტად საინტერესო ლიტერატურული საღამო გაიმართა. საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე წარსდგა ორგზის პარლამენტარი, პროფესიით მათემატიკოსი ბესიკ ლაგვილავა ორწიგნად გამოცემული რომანით „ლამაზად სიკვდილის თვითმასწავლებელი“.

მე, როგორც პროფესიონალი მწერალი და ლიტერატორი, ვერ დაგიმალავთ იმ აღფრთოვანებას, რაც ამ წიგნის წაკითხვისას განვიცადე. ბესიკ ლაგვილავას მთავარი გმირი მწერლის პოზიციიდან კი არ იხატება, არამედ თვითონაა საკუთარი თავის შემოქმედი, თვითონ არის საკუთარი მეობის დამრახტავი. ესეც არ ახალია, მაგრამ ეს ყველაფერი ბესიკთან ცოტა განსხვავებულადაა. წინამდებარე ნაწარმოების დეტალურ განხილვას საგაზეთო წერილის ფორმატი არ ეყოფა, მაგრამ ძირითად ტენდენციებს რამდენადმე შევეხები, რაც მის რომანს გამოარჩევს დღემდე არსებულთაგან. გამოვარჩევ 4 ძირითად კოლოსს, 4 ძირითად საყრდენს, რომელზეც აშენებულია ეს ნაწარმოები.

პირველი კოლოსი გახლავთ ყველა ჩვენგანისთვის ავადსახსენებელი 9 მარტი. ამის თაობაზე უამრავი ურთიერთ გამომრიცხავი ფაქტი დაგროვილა და ჭეშმარიტი სიმართლე კვლავაც ბურუსითაა მოცული. დღემდე სათანადოდ ვერ გარკვეულა თუ რა მოხდა სინამდვილეში 1956 წელს: რამდენი პიროვნება შეეწირა ამ ახალგაზრდულ გამოსვლა-პროტესტს. მე ჩემი სტუდენტი ბიძებისგან ვიცი ეს ყველაფერი ჰიპერბოლური შტრიხებით, თავად პატარა ვიყავი ამ დროს და დიდობაშიც არ შემიწუხებია თავი მასზე საარქივო მასალების მოძიებით. ამაზე რაიმე სახასიათო მხატვრული ნაწარმოებიც არ დენის ჯერხანობით ვინმეს კალამს. და, აი, ბესიკს მართლაც უნიკალურ დონემდე შეუმოსავს იგი. აქ აქცენტები გარეგნულ აქსექსუარებზე კი არაა, თუ ვის რამდენი კონდახი ედრუზა თავში, ან რამდენი შტიკნოჟის გაფატრული მკერდი გადაყარა ბევრის მნახველ მტკვარში, არამედ სულ სხვა რამ არის აღბეჭდილი. კერძოდ, როცა ადამიანს ფიზიკურად გაუსწორდებიან, აწამებენ უკიდურესობამდე, ამის შემდეგ მოდის ვიღაც კეთილი ბოროტი და რადგანაც დაპატიმრებულს უკვე გამოვლილი აქვს აუტანელი ტანჯვა, სთავაზობს სულ სხვა, მაცდურ, ქვეშქვეშურ ქმედებას, რომელიც ასწილ დამანგრეველი აღმოჩნდება მისთვის– ხელწერილს დასტყუებს, უდანაშაულო ადამიანს ჩააშვებინებს, მოუსავლეთში გააგზავნინებს, რომელზეც არანაირი სამხილი არ იძებნება და ზუსტად, აი, აქედან იწყება ამ ვერაგული მეთოდით გადმობირებული რომანის ერთერთი პერსონაჟის მარათონული სულიერი დეპრესიები. იგი ნელინელ ისრისება უხილავი ჩექმებისაგან, უნებურად ჩაუთრევია ბოროტების შეუჩერებელ ჩარხში, ნართების ეპოსში რომ გადაუვლის სასრიყვას მუხლების გადამბასრავ ძალად. წარმოუდგენელია ამაზრზენობა ესე, რომელიც ადამიანს ნელი-ნელ ცინცლავს უფლისგან ხატად ბოძებულ სახეს და ცხოველის იერი უფრო ჰუმანური გეჩვენება მის შემხედვარეს. იქ არის მომენტი, როცა ერთ ბოევიკს რძით შემოჩვეული კობრა გადაარჩენს აშკარა სიკვდილისაგან, გატოკების საშუალებას წაართმევს, სანამ ქვემოთ საბოლოოდ არ ამოჟუჟავენ რუსების როტას როსტოკაკა ქართველობასთან ერთად.

ბესიკის წიგნში გალაკტიონის „შარშან“ უნდა გავიგოთ, როგორც დროის სამერთიანობა–აწმყო-წარსულ-მომავალი, როგორც დრო-ჟამის განუწყვეტლობა. გალაკტიონის სტრიქონები ერთ სასმისშია მომწყვდეული წარუშლელ საჩუქრად, ერთმანეთში ალინთული თვეები, ერთმანეთში მოდრეიფკვირანი და სიგიჟის ზღვრამდე ძარღვების დამძაგრავი დღეთ დისჰარმონიულ მონაცვლეობაში. ამ მწიფობა–დაბადაგებაგახრიოკებას შორის უცვლელი ადამიანის ტანჯვაა. უხილველია მისი სულის მეტასტაზები. როგორც უნდა ატრიალო იგი, წინიდან, უკნიდან, გვერდულად, ყირამალა, შედეგი მაინც ერთია–სრული გაპარტახება, სრული მოსარგალება. აი, სად მთვლემარებს „ლამაზად სიკვდილის თვით მას წავლებ ლის“ ბნელ ხვეულების გასაღები.

მეორე კოლოსი, რომელიც ჯაჭვური რეაქციითაა გადაბმული პირველთან, პირობითად შეიძლება „ავღანური თემა“ ვუწოდოთ. მაგრამ რა არის ეს ავღანური თემა, რომელიც ეფემერულად ეწვეთებოდა და ეწვეთება დღესაც ჩვენს ყურთასმენას გულგრილობის მცოხნავ განზომილებად–ინტერნაციონალური მოვალეობა. არა, ის არ არის ინფორმაციული ღვარჭნილობა თუ სტატისტიკური აღებ მიცემობა–ამდენი და ესოდენი, ამგვარი და ამნაირი. მე შემზრა უტეხ ავღანურ სულში ავტორის სიღრმისეულად წვდომამ. იგი არ არის მხოლოდ სანგრის და ჩახმახის ჰეროიკა ბოევიკური კინოლენტებიდან რომ გვიხილავს, არამედ აქ სხვა მცხუნვარებაა, ავღანური „ჰალსტუხებითა“ და ვარდისფერი პერანგებით გამორჩეული მცხუნვარება. „ჰალტუხების“ ნასკვზე კოლუმბიიდანაც გვსმენია, ყანყრატოს რომ გამოუფატრა ვენ დატყვევნილს, გადმოუგდებენ ენას მკერდზე ომის მკაცრი კანონების სახსომიეროდ. მაგრამ ვარდისფერ პერანგზე ღირს სიტყვის შეჩერება, იგი ინდიელების სკალპის აძრის ერთგვარი მასშტაბურობაა, როცა ტერფიდან კინკრიხომდე განიძარცვები ტყავისგან და ვარდისფერად აბრიალდები ლეღვივით ზეზეურად გაფცქვნილი–სიცოცხლის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა, აი რა სტრიქონები ესადაგება ამ ამაზრზენ კანგაცლას კაცისას და კიდევ რადისავის სარზე გასმაივოანდრიჩის ჩინებული რომანიდან „დრინის ხიდი“. კითხულობ ამის თანასცენებს და მისდა უნებურად სიმპათიით აღივსები თითქოს და ამ ნახევრად ველური ადამიანებისადმი, დანარჩენ თახსირ მსოფლიოს არასრულფასოვნად რომ შეურაცხავს. კაცი, რომელიც საკუთარ ოჯახს იცავს, ქალი, რომელიც საკუთარ კერიას გადაფოფრებია, გზარავს და გხიბლავს ერთდროულად. ყველა გზა გამართლებულია მაკიაველისებურად, თუ კი იგი სამშობლოს დასაცავადაა მიმართული და ბესიკი, რომელსაც არა მგონია რაიმე სამხედროს მსახურების ვალდებულება აკავშირებდეს ამ სივრცესთან, სწორუპოვარ მსაჯულად მოევლინება კაცთმოძულე კაცობრიობას.

მესამე კოლოსს პირობითად სოციუმს დავარქმევდი, ოღონდ ის არ არის თემის იმპორტი, არამედ სუფთა შინაური აჯაფსანდალია, დარდუბალაა. ეს არის ქართველი კაცისა და ქალის უსიყვარულო და მოკიდებულების ღობეძრომიალი. აქ გაუსძლისი მოზაიკური სახასიათო კრიალოსნებია, რომლებიც საკუთარ თავსაც კი არ ეკუთვნიან. ისინი მხოლოდ სახელებით მოიხსენებიან. მათ არ გააჩნიათ გვარის გაგება. ესენი სახეწაშლილთა დეგრადირებული კასტაა, ანუ შტაინერის კლასიფიკაციით–უპიროვნონი. ყველა დიდი მწერალი ჩანაფიქრს მინიშნებით ამჟღავნებს, ასეა ჰომეროსთან–აქილევსი მრისხანებს იმიტომ, რომ არ უნდა თვისტომი ტროელების გაჟუჟვა; რასკოლნიკოვი იდლიაში იმისთვის ამოიჩრის ნაჯახს, რომ ბრალეულობით ჩაშალოს ვიგინდარა ვაჭარ მერმელადოვთან მწყაზარი დაიას–დუნიას ქორწინება. მსგავსი მიმართებანი არც ბესიკ ლაგვილავასთვისაა უცხო. მე აღმაფრთოვანა მისი ცოდნის დიაპაზონმა. საიდან მოასწრო ამდენის წაკითხვა ტექნიკური განათლების კაცმა?! ამას ხომ ინტერნეტით ვერ შეიძენ, საუბარია 2–3 ათას მხატვრულ ნაწარმოებზე. იმ მესამე კოლოსში, პირობითად ქალის და კაცის ურთიერთობები რომ მიწოდებია, იგივე ქართული სოციუმი, შვილი გაჩენას ვერ ასწრებს, ისე წარედინება ცად. ელიოტის უნაყოფო მიწის გარემოა, აი, რა შეიძლება დამატებით ეწოდოს ამ მესამე კოლოსს. მეოთხე სვეტიცხოველი, ყველაზე ამაღლებული და გამორჩეული, რომელსაც მე თავში სამერთიანი დრო–კონტინუუმი ვუწოდე, ერთ სივრცეში მოქცეული დანტე ალიგიერის სალხინო ბელჯოჯოხეთ სამოთხეა. იგი უნიკალურია ხატვის ექსპრესიით, დინამიზმით, ხატობრივი ფერწერით და ინფორმაციულობით. იგი ერთგვარი სამხილი მასალაა თუ როგორი ბიწიერებით გვიცხოვრია და რამდენად ვსაკლისობდით სიწმინდის თვალშეუდგამ გრილწყაროებს. რას ნიშნავს მაკედონელი, ცეზარი, ნაპოლეონი, როცა სამთავიანი ცერბერი დაღერილა შენს დასაფლეთად. მართალია, იგი უპირატასად ერთი თავით დაიარება, მაგრამ ორი ხომ იდლიაში ამოუჩრია და არავინ უწყის როდის დააბჩენს ჩაყვითლებულ ღიჯებს დამატებითი ვნების მოსატანად. აქ თავის ქალები დაგორავენ ყოველ ნაბიჯზე ყუნწმომტვრეულ გოგრებივით. ამ პასაჟების წამკითხავი ადამიანი რამდენადმე გადაქანდები უჩრდილებო სხეულებისკენ.

18 წელიწადია თურმე ბესომ თავისი პირველი რომანი პირმშო მიივიწყა, მაგრამ ბუხარში ცეცხლის მივიწყება გაგონილა, გინდა ნაცარში ყოფილა იგი გახვეული?! დაიბადა ეპოქალური რომანი „ლამაზად სიკვდილის თვითმასწავლებლის“ სახელით და აწი პატრონობა სჭირდება მას, როგორც ავტორისაგან, ისე ამ შესანიშნავი წიგნის მკითხველებისგან.

გური ოტობაია,
24.05.-2019 წ.

გვწერენ
სამადლობელი

დაბადებიდან დღემდე ვცხოვრობ ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზიდან პატარა ჩიხში, სადაც სულ ოთხი ოჯახი ვცხოვრობთ. ახლა სამოცდაორი წლის ვარ და ამ ხნის განმავლობაში ამ პატარა ჩიხს რაც სჭირდებოდა: თხრილების გაყვანა თუ ამოწმენდა, გზის მოხრეშვა, ამას ეს ოთხი ოჯახი ვინაწილებდით და საკუთარი სახსრებით ვაკეთებდით. ადრე ეს ყველაფერი უფრო იაფი ჯდებოდა, თუმცა გლეხისთვის ცხოვრება არასოდეს არ იყო იაფი. სოფლის არც ერთ თავკაცს აზრად არ მოსვლია ჩვენი დახმარება, თუმცა ჩვენც არ გვითხოვია, რადგანაც ვიცოდით, მაინც არ შეგვისრულებდნენ.

ახლა კი წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა რამოდენიმე დღის უკან ჩვენს პატარა ქუჩაზე ტექნიკა დავინახეთ, დიახ, ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულს ჰყავს თავკაცი, რომელსაც არ სჭირდება ხვეწნა-მუდარა, სადაც უჭირს სოფელს, ეს ადამიანიც იქაა და ეს ლევან ლიპარტია გახლავთ.

ამ ბოლო დროს ხალხი მიეჩვია წინასაარჩევნო დაპირებებს. ეს კარგია თუ ცუდი, სამწუხაროდ, მწარე რეალობაა. ჩვენი სოფლის თავკაცი კი არ იძლევა წინასაარჩევნო დაპირებებს. გასაკეთებელს ყოველთვის დროულად აკეთებს და პასუხად ხალხის სიყვარულს და კმაყოფილებას იმსახურებს. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

ბატონო ლევან, ეს პატარა ბარათი ძალიან მცრედია მადლიერების გამოსახატავად, მაგრამ ამ პატარა ბარათით ჩვენი ქუჩის მაცხოვრებლები გეუბნებით უღრმეს მადლობას, რომელსაც თქვენ იმახურებთ. თქვენ ხომ ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე გაგვიყვანეთ გზა.

პატივისცემით მზისა ჩიტაია,
ნოჯიხევის მცხოვრები.

სპორტი

„სპორტი ბარიერების გარეშე“– გამარჯვებულების დაჯილდოება

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, მუნიციპალიტეტის პირველობაში–„სპორტი ბარიერების გარეშე“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში გამარჯვებული საჯარო სკოლების

მოსწავლეები, თასებითა და სიგელებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნიამ და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ელისო კვიკვინიამ სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად დააჯილდოეს.

მინიფეხბურთში გოგონათა შორის მესამე ადგილი ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს, მეორე ადგილზე ახალსოფლის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა, ხოლო ჩემპიონები ხობის №1 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი გახდა.

მინი ფეხბურთში ჭაბუკთა შორის მესამე ადგილი დაიკავა საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლამ, მეორე ადგილზე გავიდა ჭალადიდის საჯარო სკოლა, ჩემპიონები გახდნენ პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

კალათბურთში გოგონათა და ვაჟთა შორის ჩემპიონები გახდნენ ახალი ხიბულის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

სპრინტში 60 მ. გარბენში გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა **მირანდა ვეკუა**–ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა, ხოლო ჭაბუკთა შორის **ლუკა ჯგერენაია**–ხობის №2 საჯარო სკოლა.

ჭადრაკში გოგონათა შორის გამარჯვებული გახდა **ნინო თუთბერიძე**, ხოლო ჭაბუკთა შორის პირველი და მეორე ადგილები **გიორგი შონიამ**–ხობის №1 საჯარო სკოლა და **მათე გერგაიამ**–ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა, გადაინაწილეს.

ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში

16 ივნისს, შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული კაპრალის, ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ტურნირის გამარჯვებული შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ახალსოფლის, ხოლო მესამე–ჭალადიდის გუნდმა დაიკავა. პრიზიორ გუნდებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ.

შეჯიბრებას ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

სულთათანა

გაუგკივარებული დარდი...

ლიზი და ინდირა ზარანდიები

2015 წელი. 13 ივნისი, ტკივილიანი, დამანგრეველი წარღვნა დედაქალაქში... დღე, რომელიც სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად საშინელებით დაგვირგვინდა. დღე-ღამეს აზვირთებულ, ბოროტ მდინარე „ვერეს“ მრავალი სიცოცხლე ემსხვერპლა. არადა, როგორ მახსოვს, თბილისში ერთი პატარა, თითქოს უწყინარი მდინარის სანაპიროზე ოჯახებიც ცხოვრობდნენ. არასდროს გამიგია მისი ასეთი წარღვნა, არც ის, რომ ასეთი მსხვერპლის მოტანა შეეძლო. ბუნება მბრძანებელია და მხოლოდ მან იცის რა ძალუძს... თუმცა, ალბათ, არც დაგეგმარება გახლდათ რიგიანი...

რა მოხდა იმ დღეს? ეს კითხვა აწუხებდა იმ დღეებში სრულიად საქართველოს. დღესაც მოუნელებელი და დაუვიწყარია 13 ივნისი, დღე ტრაგიკული დასასრულით, რაც მოხდა საშინელებაზე უარესია, მაგრამ ხობელთათვის ორმაგად დაუვიწყარი და ტკივილიანი, რადგანაც ამ წყალდიდობას ორი ხობელი, გურიფულელი დების ლიზი და ინდირა ზარანდიების სიცოცხლე შეეწირა.

იმ პერიოდში გოგონებთან ერთად თბილისში მუშაობდნენ მათი მშობლები მალხაზ ზარანდია და მანანა ბახია, ხოლო ძმა ლუკა, სკოლაში სწავლობდა, (ამჟამად აბიტურიენტია). ასე, რომ მალხაზ ზარანდიას ოჯახი დროებით იქ სახლობდა ნაქირავებ ბინაში...

ლიზი და ინდირა ზარანდიებისთვის ის დღე, როგორც ყოველთვის, ლამაზად დაიწყო. დებმა საქმეები გაინაწილეს, დაგეგმეს რა, როგორ ყოფილიყო და სამსახურებში წასასვლელად გაემზადნენ. თუმცა ლიზას წასვლა თითქოსდა არ სურდა, თითქოს ფეხს ითრევდა, შემდეგ ორივემ სიყვარულით დატოვეს თავიანთი ბინა და მეტროსკენ გასწიეს... ორივენი შეყვარებულები იყვნენ. ორივეს საქმრო ჰყავდათ და მათ ყოველდღიურ ცხოვრებას ეს გრძნობაც უფრო ალამაზებდა. ლიზიმ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინდირამ ილიას სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა და სპეციალობით მუშაობდნენ...

დარიანი დღე იყო. შემდეგ ამინდი შეიცვალა, ცა თითქოს გაშავდა, მოიქუფრა და საშინელი წვიმა მოვიდა. ადამიანები თავს ძლივს აფარებდნენ შენობებს, მეტროებს, ქუჩებში მანქანებსაც უჭირდათ გავლა. ადიდებული და ზღვარს გადასული ვერე ყველაფერს ანგრევდა და წინ ღრიალით მიიწევდა, ისმოდა ადამიანების გაუსაძლისი კივილი... ლიზა და ინდირა მძღოლთან და ლიზის საქმროსთან ერთად ტაქსში ისხდნენ, მაგრამ მანქანა ისე მოძრაობდა, რომ გოგონები შიშობდნენ სახლამდე როგორ მიაღწევდნენ. შემდეგ როგორც უთვალავი მანქანა, მათიც მდინარეში გადაეშვა და... ეს დღე უბედურებით დამთავრდა. მათი გადარჩენა ვერავინ და ვერაფერმა შეძლო. (ლიზის მეგობარი სერგი კაპანაძე დღემდე არ ჩანს...) გატანჯული დებიდან ჯერ ერთი იქნა ნაპოვნი, შემდეგ მეორე... ახლა ეს ლამაზი გოგონები გურიფულის სასაფლაოზე განისვენებენ. მათ საფლავებს მუდამ ყვავილების წვიმა ათოვს და სიყვარულით სავსე სიო ესალბუნება.

ლიზი და ინდირა, უკვე მეოთხედ მოვიდა ზაფხული მხოლოდ უთქვენოდ. თქვენ თქვენი მშობლების, უახლესი ადამიანების სამუდამო დარდად, ტკივილად და დაუვიწყარ არსებებად დარჩით, ისეთ ტკივილად, რომლის გაუტკივარება არავის და არაფერს ძალუძს.

იძინეთ მშვიდად, მუდმივ ტკივილად, გაუტკივარებულ დარდად დარჩენილო დებო!

ნანი კილასონია.

უნარის მქონე 500 მილიონიანი ბაზრის გახსნას საქართველოში მოქმედი მეწარმეებისთვის. ეს თავის მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით, მცირე მეწარმეებისთვის, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ნიშნავს შევცვალოთ და უკეთესობისაკენ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება და დავუახლოვოთ ევროპულ სტანდარტებს.

მცირე მეწარმეები სამეგრელოდან ცდილობენ ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის /DCFTA/-ის ვალდებულებებს აუწყონ ფეხი და თავისი ნაწარმი გაიტანონ ევროპაში.

საქართველოს ევროკავშირისაკენ სწრაფვამ მოგვიტანა ის ძირითადი ,,ფასეულობა“, რასაც ასოცირების ხელშეკრულება ჰქვია. ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაწილი გულისხმობს მაღალი მყიდველობითი

*ასოცირების ხელშეკრულების და კერძოდ, ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის /DCFTA/-ის დადებით მხარეს ნათლად აცნობიერებენ მცირე მეწარმეები სამეგრელოდან, კერძოდ, ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მამა-შვილი **იაკობ და კახა ცქირიები**.*

ნელი ნაბიჯებით მდგრადი განვითარებისკენ

იაკობ ცქირია: „ახალგაზრდამ დავიწყე დაფნის საამქროში ნედლეულის დამზადებაზე მუშაობა და ეს საქმე კარგად რომ ავითვისე, გადავწყვიტე თავად მეწარმოებინა პროდუქცია. შემდეგ ერთ-ერთი პირველები ვიყავით სამეგრელოში. ვინც კოოპერატივი „დაფნარი“ ჩამოვაყალიბეთ და დაფოთლილ, დახარისხებულ პროდუქტს საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ვაგზავნიდით სარეალიზაციოდ. მაშინ სხვა რეგულაციები იყო, სერტიფიკატებიც საბჭოთა მოთხოვნისამებრ კეთდებოდა (ე.წ. „გოსტის“ სტანდარტის მიხედვით), ხარისხიც შესაბამისი იყო. ტონობით ქართული დაფნა გადიოდა საზღვრებს გარეთ. მერე აირია ქვეყანა. ჩაიკეტა „დიადი რუსეთი“ და რადგანაც „სხვა სამყარო“ ჩვენთვის ისედაც არ არსებობდა, ფაქტიურად ბიზნესი დაგვენგრა... რაც დამოუკიდებელი სახელმწიფო გავხდით, ჩვენი ძალებით ვცდილობდით კავშირი დაგვემყარებინა ევროპის ქვეყნებთან, თუმცა მკაცრი რეგულაციები და საბაჟო გადასახადები გზას გვიკეტავდა.“

ცუდი დრო დაუდგათ მეწარმეებს, დაკარგეს რუსეთის ბაზარი, ევროპისკენ თავიანთი პროდუქციის გატანას ოცნებაში თუ ბედავდნენ. სწორედ ასოცირების ხელშეკრულება და მისი სავაჭრო კომპონენტი–ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის - DCFTA ნაწილი იქნა ბევრი ბიზნესმენის, მცირე და საშუალო მეწარმეების ხსნა, რაც გულისხმობს პროდუქტის ტარიფებისა და კვოტების გარეშე ევროკავშირის ერთიან ბაზარზე დაშვებას. მათ დაინახეს ნათელი წერტილი, რომელიც შორს ევროპიდან აკიაფდა. გამოწვევები დიდია, რთული გზაა გასავლელი, რაც სურსათის უვნებლობის მოთხოვნების, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების დაკმაყოფილების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვადასხვა მიმართულებით მოთხოვნების დაკმაყოფილებას გულისხმობს, რაც რეგულაციებსა და ვალდებულებებშია ჩახლართული, თუმცა თავდაუზოგავი შრომით ბევრის გაკეთებაა შესაძლებელი, შანსი არსებობს...

ისევ დაიწყეს ცქირიების სახლში დაფნის ბიზნესზე ფიქრი. ახლა უკვე შვილი, კახა ცდილობს გასულ საუკუნეში მამის დაწყებული საქმე განავითაროს და ახალი შესაძლებლობებით და დაუღალავი შრომით დაფნის პროდუქცია ევროპულ ბაზარზე გაიტანოს. ოცნება რეალობაში იძერწება და კახა ცდილობს სტანდარტებითა და რეგულაციების გათვალისწინებით იმოქმედოს და თავისი პროდუქტით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე გავიდეს.

კახა ცქირია: „საშუალება მომეცა ჩემი მშობლის დაწყებული ბიზნესი გავაგრძელო. ეს დიდი შესაძლებლობა საქართველო-ევროკავშირის ხელშეკრულებამ მომცა. ფაქტიურად DCFTA არის შანსი ბიზნესი გავაფართოვოთ. რასაც ჩვენი მამები ოცნებობდნენ, დღეს ეს რეალობად იქცა. თუმცა ეს შანსი დიდ შრომას, ინფორმაციულ ცოდნას, თანხას მოითხოვს. წინ ბევრი სირთულეები გველოდება, მაგრამ ეს ყველაფერი მიღწევადია და დაძლევადი. სახელმწიფოც გვერდით უდგას მცირე მეწარმეებს თავის თანადაფინანსების პროგრამებით. მაგრამ გამოწვევები ბევრი გვაქვს რეგულაციებით და სხვადასხვა ვალდებულებებით, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ გვაახლოვებს ევროპის ბაზარს...

DCFTA დიდი შესაძლებლობაა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ფერმერებისთვის, ევროპული ბაზრის დასაპყრობად.

ნათია დაღელიშვილი–გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პროექტის ოფიცერი, DCFTA-ას ექსპერტი:

ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DCFTA) გადაჰყავს ქვეყანა საშეღავათო სავაჭრო რეჟიმზე და ქმნის შესაძლებლობას, გაზარდოს ბაზარზე წვდომა საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომლებიც ერთმანეთთან ჰარმონიზებულ რეგულაციებზეა დაფუძნებული.

მიუხედავად იმისა რომ DCFTA-ის ძალაში შესვლიდან თითქმის 5 წელი გავიდა, საქართველო სრულად ვერ იყენებს შეთანხმების სიკეთეებს. ქართული პროდუქციის ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტის ძირითადი გამოწვევები **ევროკავშირის უმაღლეს სტანდარტებთან შეუსაბამობა და გაუმართავი წარმოების ჯაჭვია**, რაც თითქმის საწარმოს გადაიარაღებას და ახალ სტანდარტებზე აყვანას გულისხმობს.

ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტი გულისხმობს შემდეგი წინაპირობების დაკმაყოფილებას: DCFTA-ის ძალაში შესვლის მიუხედავად, ევროკავშირის ბაზარი ღიაა მხოლოდ იმ პროდუქციისთვის, რომელიც აკმაყოფილებს ევროპის ბაზრისთვის განსაზღვრულ შიდა რეგულაციებს. რეალურად, სატარიფო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიღმა ე.წ. არასატარიფო ბარიერები რთული გადასალახია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (SME-ებისთვის). გამოსავალი მდგომარეობს ცნობიერების დონის ამაღლებაში (სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა, განსაკუთრებით რეგიონებში); სახელმწიფო პროგრამების მორგებაში რეგიონების სპეციფიკასთან ფინანსების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის გათვალისწინებით; მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესში; დუალური განათლებისა და პროფესიული სწავლების მხარდაჭერაში; ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში; საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების განვითარებაში, რაც გაწერილია სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში. მხოლოდ ამის შემდგომ, გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება DCFTA საფუძველი, რომ მცირე და საშუალო საწარმოებმა დააკმაყოფილონ ევროსტანდარტების შესაბამისი ხარისხის მოთხოვნები და დაძლიონ არასატარიფო ბარიერები.

როგორც ექსპერტმა ქალბატონმა ნათიამ განმარტა,–ჯერ კიდევ ბევრი ბარიერია გადასალახი, რათა ქართული პროდუქტი მოხვდეს ევროპულ ბაზარზე. მიუხედავად ამისა, მეწარმეები ცდილობენ ფეხი აუწყონ ცხოვრების ახალ წესებს, ისწავლონ, იბრძოლონ, ეძებონ და მიაღწიონ საწადელს.

ლელა ალანია.

მილოცვა

ლიზი და ლუკას!

გილოცავთ დაბადების დღეებს! გვიხარია, რომ ყოველ ზაფხულს მოსკოვიდან აქ, დედულეთში ჩამოდიხართ, ერთმანეთს ყოველთვის ვნახულობთ, რაც ძალიან გვახარებს.

ლიზი და ლუკა კიდევ ერთხელ გილოცავთ და გკოცნით. ბედნიერ, ლამაზ და მხიარულ მომავალს გისურვებთ.

გვიყვარხართ!

ტატა, გოგი, ნუცა, ალექსანდრა ბუკიები.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.